

ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულება # _____ -

(ორმხრივი)

თბილისი

01 აგვისტო, 2016 წელი

ერთი მხრივ, სს _____, (შემდგომში „მზღვეველი“, საიდენტიფიკაციო ნომერი: _____) წარმოდგენილი _____, _____ მიერ და მეორე მხრივ, შპს „ბათუმის ნავთობტერმინალი“ შემდეგში „დამზღვევი“ საიდენტიფიკაციო ნომერი _____) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის - სამრატ დაულბაევის სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინის განმარტება:

დაზღვევის ხელშეკრულება - წინამდებარე ჯანმრთელობის დაზღვევის ხელშეკრულებით და მისი დანართებით გათვალისწინებული პირობების ერთობლიობა, რომელიც წარმოადგენს ჯანმრთელობის დაზღვევის ერთიან ხელშეკრულებას და ფორმდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის;

2. ხელშეკრულების საგანი:

2.1 წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულება და მისი დანართები არეგულირებს ურთიერთობებს, რომელიც წარმოიშობა მზღვეველს, დამზღვევს და დაზღვეულ(ებ)ს შორის დაზღვევის ხელშეკრულებით და მისი დანართებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

2.2 წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულებით და მისი დანართებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, მზღვეველი ვალდებულია, შესაბამისი სადაზღვევო პრემიის მიღების სანაცვლოდ, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას უზრუნველყოს დაზღვეული პირ(ებ)ისთვის დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა;

3. დაზღვევის ხელშეკრულების კონკრეტული პირობები:

(წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულების ის პუნქტ(ებ)ი, რომელიც არ არის შევსებული, ანუ მონაცემის მაგივრად მითითებულია ნიშანი „ტირე“, არ მოქმედებს დამზღვევთან მიმართებაში).

3.1 პროდუქტის ტიპი - 4*;

3.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა (საერთო სადაზღვევო პერიოდი) - დაზღვევის ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის 01 აგვისტოს 00:00 საათიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის 00:00 საათამდე;

3.3 ოჯახის წევრ(ებ)ი (დაზღვევას დაქვემდებარებული პირ(ებ)ი) - მეუღლე და შვილები/გერები;

3.4 მოცდის პერიოდი -

3.5 ასაკობრივი შეზღუდვა - დაზღვევას ექვემდებარებიან დამზღვევის თანამშრომლები ასაკის შეუზღუდავად და ასევე, მათი ოჯახის წევრები - მეუღლე ასაკის შეუზღუდავად და შვილები/გერები 0 - დან 18 წლამდე - საოჯახო ბარათის ფარგლებში და პირობებით; ხოლო შვილები/გერები 18 (თვრამეტი) წლიდან 25 (ოცდახუთი) წლამდე, დაზღვევას ექვემდებარებიან ინდივიდუალური ბარათის ფარგლებში და პირობებით, შესაბამისი ინდივიდუალური ბარათის ღირებულების გადახდის საფუძველზე; ამასთან აღნიშნული შეზღუდვა არ მოქმედებს შვილებზე, რომლებიც დაზღვევა მოხდება ხელშეკრულების ძალაში შესვლის პარალელურად, პირველად სიაში დასაშვებია შვილების დაზღვევა 27 (ოცდაშვიდი) წლამდე.

3.6 სამედიცინო დაწესებულება - საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი დაწესებულება, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს/გააჩნია სამედიცინო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება. აგრეთვე, საზღვარგარეთ მკურნალობის დაფარვის მინიჭებისათვის - საზღვარგარეთ მოქმედი სამედიცინო დაწესებულება, რომელსაც შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად მინიჭებული აქვს შესაბამისი სამედიცინო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება;

3.7 ტერიტორიული ლიმიტი (სადაზღვევო დაფარვის არეალი) - ჯანმრთელობის დაზღვევის დაფარვისათვის - საქართველოს ტერიტორია (გარდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებისა); სამოგზაურო დაზღვევის შემთხვევაში - სამოგზაურო დაზღვევის პოლისში მითითებული ტერიტორიული არეალი/ქვეყანა; უბედური შემთხვევის, სიცოცხლის დაზღვევის და საზღვარგარეთ მკურნალობის დაფარვის შემთხვევაში - მსოფლიო;

- 3.8 უბედური შემთხვევის დაზღვევა** - გაუთვალისწინებელი, მოულოდნელი შემთხვევა, გამოწვეული თვალსაჩინო გარეგანი ძალ(ებ)ის ზემოქმედებით, რომელიც განაპირობებს დაზღვეულის სხეულის დაზიანებას, რომელიც იწვევს დაზღვეულის შრომისუნარობას ან/და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას (დაზღვევის ხელშეკრულების დანართი #7-ის შესაბამისად) (ვრცელდება როგორც დამზღვევის თანამშრომელზე, ისე მისი ოჯახის წევრებზე);
- 3.9 სიცოცხლის დაზღვევა** -- ითვალისწინებს ინდივიდუალური სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში დაზღვეულის ნებისმიერი მიზეზით გარდაცვალების შემთხვევაში (შესაბამისი გამონაკლისი შემთხვევების გარდა) მისი მემკვიდრისათვის (მოსარგებლისათვის) ფიქსირებული სადაზღვევო თანხის გადახდას. დაზღვეულის გაუჩინარება (უგზო-უკვლოდ დაკარგვა) არ მიიჩნევა გარდაცვალებად. (დაზღვევის ხელშეკრულების დანართი #6-ის შესაბამისად); (ვრცელდება როგორც დამზღვევის თანამშრომელზე, ისე მისი ოჯახის წევრებზე);
- 3.10 დაზღვეულთა რაოდენობის ცვლილების შემთხვევაში სადაზღვევო ლიმიტ(ებ)ის დაანგარიშების წესი** - დაზღვევის ხელშეკრულების დანართი #1-ის 4.2.2 ქვეპუნქტის შესაბამისად.
- 3.11 დაზღვევის ხელშეკრულების დანართი #1-ის 4.2.2 ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**
4.2.2 თუ დაზღვეულის დამატება მოხდება:
 1. ხელშეკრულების (საერთო სადაზღვევო პერიოდის) ძალაში შესვლიდან პირველი 15 თვის განმავლობაში, დაზღვეულს საშუალება ექნება, ისარგებლოს ბარათით განსაზღვრული სრული სადაზღვევო ლიმიტებით;
 2. ხელშეკრულების მოქმედების უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში, დაზღვეულს საშუალება ექნება, ისარგებლოს ბარათით განსაზღვრული სადაზღვევო ლიმიტების 40%-ით;
- 3.12 სადაზღვევო ბარათის ან/და დაზღვეულ პირთა სიაში ცვლილების განხორციელების წესი** - დაზღვევის ხელშეკრულების დანართი #1-ის 4.3.2 ქვეპუნქტის შესაბამისად.
- 3.13 მხარეთა შორის შეთანხმებული დამატებითი პირობები:**
- 3.13.1** მზღვეველი ვალდებულია განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;
- 3.13.2** დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, საქართველოს ეროვნული ვალუტის აშშ დოლართან/ევროსთან მიმართებაში, ჯამში 5%-ით ან მეტით გაუფასურების შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევ(ებ)ისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით გაზარდოს სადაზღვევო პრემიის (შესატანის) ოდენობა გაუფასურების პროცენტის შესაბამისად/ოდენობით; იმ შემთხვევაში თუ დამზღვევი არ ეთანხმება სადაზღვევო პრემიის გაზრდას იგი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 60 დღისა შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ მზღვეველს. ასეთ შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან ვადამდე მოშალონ დაზღვევის ხელშეკრულება.
- 3.13.3** დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, სახელმწიფოს მიერ ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამ(ებ)ის გაუქმების/პირობების ცვლილების შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ცვლილება გავლენას ახდენს ან შესაძლოა გავლენა მოახდინოს სადაზღვევო პროდუქტის რენტაბელობაზე, დაზღვევის ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების მიზნით, მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევ(ებ)ისათვის შეტყობინების გაგზავნის გზით შეცვალოს სადაზღვევო დაფარვები ან/და ლიმიტების/პრემიის (შესატანის) ოდენობა. იმ შემთხვევაში თუ დამზღვევი არ ეთანხმება ცვლილებებს იგი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 60 დღისა შეატყობინოს აღნიშნულის შესახებ მზღვეველს. ასეთ შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან ვადამდე მოშალონ დაზღვევის ხელშეკრულება.
- 3.13.4** იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ დამზღვევმა/დამსაქმებელმა რაიმე სახით მოახდინა იმ პირების დაზღვევა/დაზღვევის ხელშეწყობა, რომლებიც დაზღვევის ხელშეკრულების მიხედვით არ არიან მიჩნეულნი დაზღვევას დაქვემდებარებულ პირებად (არ იმყოფებიან მასთან შრომით/მომსახურების/სასამსახურო ურთიერთობაში ან არ წარმოადგენენ შესაბამის ოჯახის წევრს), მზღვეველი უფლებამოსილია, მოთხოვოს მას საჯარიმო სანქციის სახით 3,000.00 (სამი ათასი) ლარის გადახდა ყოველ ასეთ შემთხვევაზე, ამასთან, ასეთ პირ(ებ)თან დაკავშირებული სადაზღვევო შემთხვევა არ დაექვემდებარება მზღვეველის მიერ ანაზღაურებას, ხოლო თუ ანაზღაურება უკვე გაცემულია, დამზღვევი/დამსაქმებელი ვალდებულია, უპირობოდ დაუბრუნოს იგი მზღვეველს, ასეთ შემთხვევაში მზღვეველი უფლებამოსილია დაზღვეულს ცალმხრივად შეუწყვიტოს დაზღვევა. ასევე მზღვეველი უფლებამოსილია ცალმხრივად სრულად შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება, თუ ასეთი დარღვევა განხორციელდება ორჯერ ან მეტჯერ;
- 3.13.5** დამზღვევი უფლებამოსილია მოსთხოვოს მზღვეველს დაზღვევის განხორციელება დაზღვევის ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
- 3.13.6** დამზღვევი უფლებამოსილია მოსთხოვოს მზღვეველს დაზღვეულებისათვის განკუთვნილი ბარათების დროულად გადაცემა;
- 3.13.7** დამზღვევი უფლებამოსილია მოსთხოვოს მზღვეველს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება;
- 3.13.8** დამზღვევი/დაზღვეული უფლებამოსილია მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაასაჩივროს მზღვეველის გადაწყვეტილება, რომელიც მას მიაჩნია არასამართლიანად

- 3.13.9 დამზღვევი უფლებამოსილია შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულება დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით;
- 3.13.10 დაზღვეული უფლებამოსილია დაზღვევის ხელშეკრულებათა სრული დაცვით წარუდგინოს მზღვეველს პრეტენზია;
- 3.13.11 დაზღვევის ხელშეკრულების დანართი #1-ის 3.4 და 6.3 პუნქტები არ მოქმედებს დამზღვევთან მიმართებაში;
- 3.13.12 მხარეთა შორის წამოჭრილი ნებისმიერი დავა წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში კი - სასამართლოს მეშვეობით კანონმდებლობის შესაბამისად;
- 3.13.14 ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა
 - 3.13.14.1 მხარეები უფლებამოსილინი არიან ერთმანეთისთვის შესაბამისი შეტყობინების მიწოდებით მოახდინონ ნებისმიერი სახის ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა;
 - 3.13.14.2 თუ მზღვეველს ან/და დამზღვევს/დამსაქმებელს ერთმანეთის მიმართ გააჩნია ერთზე მეტი მოთხოვნა, ურთიერთმოთხოვნათა გასაქვითად გამოიყენება ყოველი მათგანი, ხოლო აღნიშნულ მოთხოვნათა გაქვითვის აუცილებლობას და რიგითობას განსაზღვრავს ინიციატორი მხარე ერთპიროვნულად და საკუთარი შეხედულებისამებრ;
 - 3.13.14.3 თუ გასაქვითი მოთხოვნები მთლიანად ვერ ფარავენ ერთმანეთს, იქვითება მოთხოვნის ის ნაწილი, რომლის მოცულობაც ნაკლებია მეორე მოთხოვნის მოცულობაზე;
 - 3.13.14.4 თუ გასაქვითი მოთხოვნების ფულადი გამოხატულება სხვადასხვა ვალუტაშია, ინიციატორი მხარე უფლებამოსილია ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა განახორციელოს გაქვითვის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით ან მხარეებს შორის შეთანხმებული კურსით (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- 3.13.15 დაზღვევის ხელშეკრულების დანართი #1-ის 11.9 პუნქტის პირველი წინადადება არ მოქმედებს დამზღვევთან მიმართებაში;

4 წინამდებარე დაზღვევის ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დამზღვევი აცხადებს რომ გაცნობილია დაზღვევის ხელშეკრულების ქვემოთ მოცემულ ყველა დანართს და სრულად ეთანხმება მის პირობებს;

- 4.13 დანართი #1 - დაზღვევის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები;
- 4.14 დანართი #2 - სადაზღვევო დაფარვების, მომსახურების მიღების, ანაზღაურების გაცემის პირობები და ბარათის ტიპები;
- 4.15 დანართი #3 - ინფორმაცია დაზღვეულების, სადაზღვევო პრემიის ოდენობისა და ბარათის ტიპის შესახებ;
- 4.16 დანართი #4 - სადაზღვევო პრემიის (შესატანის) ოდენობა და მისი გადახდის წესი;
- 4.17 დანართი #5 - მზღვეველის კონტრაქტორი/პროვადერი დაწესებულებების სია;
- 4.18 დანართი #6 - სიცოცხლის დაზღვევა (სადაზღვევო დაფარვის, მომსახურების მიღებისა და ანაზღაურების გაცემის პირობები);
- 4.19 დანართი #7 - უბედური შემთხვევის დაზღვევა (სადაზღვევო დაფარვების, მომსახურების მიღებისა და ანაზღაურების გაცემის პირობები);

5 მხარეთა ხელმოწერები:

მზღვეველი:

დამზღვევი:

იურიდიული მის.: ქ. ბათუმი, მაიაკოვსკის ქ №4;
 ფაქტიური მის.: ქ.ბათუმი, მაიაკოვსკის ქ.№4
 საიდენტიფიკაციო კოდი: 245432544

მომსახურე ბანკი: “ხალინკ ბანკი საქართველო”
 ანგარიშის № GE75HB000000000103608
 ბანკის კოდი: **220101905**
 ტელ.: 995 422 27 60 06;
 ტელ: 995 32 224 18 18